საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

შპს „ელბა ექსპორტი"-ს კირის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების თაობაზე სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, თქვენს 2021 წლის 7 ოქტომბრის N10508/01 წერილზე გაცნობებთ შემდეგს:

შპს „ელბა ექსპორტი"-ს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ კირის საწარმოში დაგეგმილი მბრუნავი ღუმელის რეაბილიტაციის და ჩამქრალი კირის საწარმოო უბნის მოწყობის პროექტები ამ ეტაპზე არ იქნება განხორციელებული და საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება განისაზღვრება შახტური ღუმელების წარმადობის გაზრდით და კირის საფქვავი წისქვილის ამოქმედებით, კერძოდ: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით საწარმოში არსებული თითოეული ღუმელის წარმადობა განსაზღვრული იყო 40 ტ/დღე-ღამეში, რაც დღეისათვის შეადგენს 80 ტ/დღე-ღამეს. ამასთანავე საწარმოში მოწყობილია კირის საფქვავი წისქვილი, რაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული არ ყოფილა.

წარმოგიდგენთ შპს „ელბა ექსპორტი"-ს კირის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის კორექტირებულ ვერსიას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- შპს „ელბა ექსპორტი"-ს კირის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში -ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საწარმოს განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები შეიფ ფაილების სახით CD დისკზე.

პატივისცემით,

ნინო კაციტაძე

შპს „ელბა ექსპორტი"-ს დირექტორი

№ 18707
"19" 10 2021